საქართველოს კანონი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.07.2020, სარეგისტრაციო კოდი: 280080020.05.001.020008) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. 30-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 30. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს შესაბამის სამშენებლო სტანდარტებში/რეგლამენტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებისადმი გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის სტანდარტებით ადაპტირების სავალდებულო მექანიზმების შემუშავებაში.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 30^1 მუხლი:

„მუხლი 30^1. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს ამ კანონით განსაზღვრული პრინციპების იმპლემენტაციას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყველაშვილი**

თბილისი,

16 აპრილი 2025 წ.

N487-IIმს-XIმპ